საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030190683160721

№ 01-75/ო **04 / მარტი / 2021 წ.**

,,COVID-19-ის საეჭვო დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებისათვის COVID-19-ის სპეციფიკური ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 იანვრის N01-1/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „COVID-19-ის საეჭვო დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებისათვის COVID-19-ის სპეციფიკური ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 იანვრის N01-1/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2021 წლის 1 აპრილამდე კორონავირუსის განმსაზღვრელი ანტიგენის სწრაფი ტესტით ამბულატორიული ტესტირებისადმი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სერვისის მიმწოდებლად განისაზღვროს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების ფარგლებში გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები/სამსახურები, ლაბორატორიული სერვისის მიმწოდებლები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში სწრაფი მარტივი ტესტირების სერვისის მიმწოდებლებად.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. 2021 წლის 1 აპრილამდე კორონავირუსის განმსაზღვრელი ანტიგენის სწრაფი ტესტით ამბულატორიულ ტესტირებას დაქვემდებარებულ დამატებით გეგმურ ჯგუფებად განისაზღვროს:

ა) ტაქსის მძღოლები ყოველ 14 დღეში ერთხელ;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სპეციალურად მოწყობილ ტესტირების სივრცეებში თვითდინებით მისული პირები.“.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 მარტიდან.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ეკატერინე ტიკარაძე

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი